დინამოელთა რევანში

თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ლოკომოტივის” პირველი წრის შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით, ანგარიშით 4:2. მეორე წრეში მათი შეხვედრა, რომელიც 26 ივლისს გაიმართა თბილისის “დინამოს” სტადიონზე, დიდ სპორტულ ინტერესს წარმოადგენდა.

თამაში ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. თავდამსხმელები კარგა ხანს ეძებდნენ სუსტ ადგილებს მოწინააღმდეგის დაცვაში, მცველები კი მოქმედებდნენ ყურადღებით და დინჯად, “ეგუებოდნენ” მოპირდაპირის მანევრებს. ამით იყო გამოწვეული, რომ დიდი ხნის განმავლობაში ორივე გუნდის თავდასხმა მოკლებული იყო უშუალო კონტაქტს ნახევარდაცვასთან და ნაკლებად ღებულობდა მათგან ბურთებს. როგორც მოსკოველთა, ისე თბილისელთა მცველები ცდილობდნენ ბურთის მოგერიებას კარიდან, მაგრამ სიზუსტეზე ნაკლებად ზრუნავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის რგოლებს შორის საჭირო ურთიერთმოქმედება არ იყო, “დინამოს” შეტევებს უფრო გააზრებული და მწვავე ხასიათი ჰქონდა. კოტრიკაძე, კ. გაგნიძე და მახარაძე სწრაფად, კომბინაციურად გადიოდნენ თავის ფრთაზე, ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. მოსაწონია მარჯვენა მცველის ელოშვილის მოულოდნელი იერიშები მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ელოშვილმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მის შტურმს ეფექტი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელებული იქნება მოულოდნელად და სწრაფად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დინამოელები ზედმეტად გაერთნენ მარჯვენა ფრთაზე თამაშით და თითქმის მთლიანად დაივიწყეს მარცხენა ფლანგი. სიხარულიძე (#11) დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო საერთო თამაშს, არ ღებულობდა გადაცემას და იძულებული იყო ბურთის საძებნელად ღრმა ზურგში წასულიყო.

მოსკოველთა თამაში მოკლებული იყო საჭირო სიმწვავეს. ნახევარმცველები მეტწილად თავის ზონაში თამაშობდნენ და არ მონაწილეობდნენ თავდასხმაში. მიუხედავად იმისა, რომ “დინამოს” ჰქონდა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა, გუნდები ისე წავიდნენ შესვენებაზე, რომ ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმი გაცილებით მაღალ ტემპში, ცოცხლად და საინტერესოდ ჩატარდა. თბილისელებმა მოწინააღმდეგეს თავიდანვე სწრაფი თამაში შესთავაზეს, ისინი გაშლილი ფრონტით, ადგილების შეცვლით ხშირად გადიოდნენ სტუმრების კართან, ერთმანეთი გაჰყავდათ ხელსაყრელ მდგომარეობაში, მაგრამ აქ კვლავ იჩინა თავი ძველმა “სენმა” – დინამოელები კარში სუსტად ურტყამდნენ.

თბილისელებს ტაიმის დასაწყისშივე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ღოღობერიძემ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ნელა გაგზავნა კარისაკენ. კუბლიცკიმ თავიდანვე ალღო აუღო დარტყმას და სხარტი ნახტომით დაიჭირა ბურთი.

“დინამოს” კაპიტანმა თავისი შეცდომა მალე გამოასწორა. მან გადაინაცვლა მარჯვენა ფრთაზე, მიიღო ელოშვილის გადაცემა და მეტად ძნელი მდგომარეობიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად თბილისელთა მხარეზე გადავიდა. დარჩენილი დროის მანძილზე ბურთი თითქმის არ მოსცილებია “ლოკომოტივის” ნახევარს. 29–ე წუთზე ჭკუასელი (მან შესცვალა ღოღობერიძე) ორ მცველთან ბრძოლაში გაიჭრა კართან და ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. მეკარემ მოიგერია ძნელი ბურთი, ჭკუასელმა კვლავ დაარტყა. კუბლიცკიმ ისევ მოახერხა

უკუგდება, მაგრამ ჭკუასელი “აღარ მოეშვა” მეკარეს და მესამე დარტყმით ბურთი კარში გაგზავნა – 2:0.

მესამე ბურთი მოსკოველთა კარში გაიტანა სიხარულიძემ. მან არეულობაში კარგად შეარჩია ადგილი, კარის წინ შეჯგუფებულ მოთამაშეებში მოძებნა გზა და ზუსტად დაარტყა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა დაამარცხეს ძლიერი მოწინააღმდეგე და დიდი ანგარიშითაც, მათ შეიძლება ვუსაყვედუროთ, ის რომ ისინი ყოველთვის სრული დაძაბულობით არ თამაშობენ, გადაცემას ძლიერ ხშირად მოწინააღდეგეს აძლევენ, სხვადასხვა მდგომარეობიდან ზუსტად ვერ ურტყამენ კარში.

ნ. ჩხატარაშვილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

“ლელო”, 29 ივლისი, 1953 წ.